

დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის
27 ივლისი, 2016

საკონტაქტო პირი: დიანა ჩაჩუა
პროგრამის უფროსი ოფიცერი
Tel: +995 577 779639
E-mail: dchachua@ndi.org

**NDI-ის კვლევა: გადაუწყვეტელი ამომრჩეველი ნაკლებად კმაყოფილია ქვეყნის მდგომარეობით;
ვეროკავშირისა და ნატოს მხარდაჭერა სტაბილურად მაღალია**

თბილისი. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და მისი პარტნიორი ორგანიზაცია CRRC-საქართველოს მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი აზრის უახლესი კვლევის შედეგების თანახმად, მოსახლეობის უმრავლესობა კვლავ მიიჩნევს, რომ ქვეყანა საერთოდ არ იცვლება (34 პროცენტი) ან არასწორი მიმართულებით ვითარდება (33 პროცენტი), მაშინ როდესაც მოსახლეობის მეოთხედი (25 პროცენტი) ფიქრობს, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება. ბოლო წლებში ქვეყნის კურსით კმაყოფილი მოქალაქეების რაოდენობის ვარდნა შეინიშნება, თუმცა 2016 წლის მარტის შემდეგ ასეთი ადამიანების რიცხვი გაზრდილია.

კვლევის წინა ტალღასთან შედარებით, მოქალაქეები უფრო დადებითად აფასებენ თავიანთ პირად მდგომარეობას. 7 პროცენტით გაიზარდა და 17 პროცენტს მიაღწია იმ ადამიანების რიცხვმა, რომლებიც აცხადებენ, რომ მათი ოჯახების მდგომარეობა გაუმჯობესებულია. ასევე მოქალაქეების 19 პროცენტმა აღნიშნა, რომ მათ ქალაქში/სოფელში საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდა, მაშინ როცა 2015 წლის აგვისტოში ეს მაჩვენებელი 9 პროცენტს შეადგენდა.

ასევე, მცირედით გაუმჯობესდა და 37 პროცენტიდან 42 პროცენტამდე გაიზარდა ისეთი მოქალაქეების რაოდენობა, რომლებიც ამბობენ, რომ ხელისუფლება მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს.

პოლიტიკურად გადაუწყვეტელი ამომრჩევლები ქვეყნის მდგომარეობას ნაკლებად პოზიტიურად აფასებენ. მეორეს მხრივ მოქალაქეებს, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ თუ ვის მისცემენ ხმას ოქტომბერში, მეტად სჯერათ, რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით ვითარდება, ხელისუფლება მათთვის მნიშვნელოვან ცვლილებებს ახორციელებს და მათ ქალაქში/სოფელში საცხოვრებელი პირობები გაუმჯობესდა. გარდა ამისა, გადაუწყვეტელი ამომრჩეველი, გადაწყვეტილ ამომრჩეველთან შედარებით, სამუშაო ადგილების, სიღარიბის, ფასების ზრდის, სამთავრობო რეფორმებისა და დანაშაულის საკითხებთან მიმართებაში ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას ნაკლებად დადებითად აფასებს.

“გადაუწყვეტელი ამომრჩეველი ნაკლებად პოზიტიურად აფასებს ქვეყნის განვითარების ძირითად ეკონომიკურ და სოციალურ მაჩვენებლებს,” - განაცხადა ლორა თორნტონმა, NDI საქართველოს ოფისის დირექტორმა. “ამ ადამიანების ხმების მისაღებად, კანდიდატებმა სასწრაფოდ უნდა გააუმჯობესონ ამომრჩეველებთან კომუნიკაცია და მათ პარტიის მიღწევებზე და ეკონომიკურ ზრდასთან და რეფორმებთან დაკავშირებულ კონკრეტულ გეგმებზე ესაუბრონ.”

საგარეო პოლიტიკის მხრივ, მოქალაქეები სტაბილურად უჭერენ მხარს ქვეყნის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას. საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას მოსახლეობის 64 პროცენტი, ევროკავშირში გაწევრიანებას კი 72 პროცენტი უჭერს მხარს. მოქალაქეების უმრავლესობას სჯერა, რომ ქვეყანა სარგებელს მიიღებს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციებში ინტეგრაციით, მაშინ როდესაც 29 პროცენტი რუსეთთან უკეთესი ურთიერთობების სანაცვლოდ უარს იტყობდა დასავლურ ინტეგრაციაზე.

პოლიტიკურად გადაწყვეტილ და გადაუწყვეტელ ამომრჩეველს შორის განსხვავებები საგარეო პოლიტიკის კუთხითაც შეინიშნება. გადაწყვეტილი ამომრჩეველი ქვეყნის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას მეტი ენთუზიაზმით უყურებს: ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას სასარგებლოდ გადაუწყვეტელი ამომრჩეველის 49 პროცენტი, გადაწყვეტილი ამომრჩეველების კი 58 პროცენტი მიიჩნევს. გადაწყვეტილი ამომრჩეველები ასევე მეტად უჭერენ მხარს ექსკლუზიურად პროდასავლურ საგარე კურსს (17 პროცენტი), ვიდრე გადაუწყვეტელი ამომრჩეველები (11 პროცენტი).

მოსახლეობის თითქმის მეოთხედი (23 პროცენტი), მათ შორის უმცირესობათა დასახლებების უმეტესი ნაწილი, არაქართულენოვანი მედია საშუალებებიდან, ძირითადად რუსული მედიიდან, ეცნობა ახალ ამბებს. გარდა ამისა, მათ, ვინც რუსულ მედია საშუალებებს იყენებს, განსხვავებული შეხედულებები აქვთ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე და ქვეყნის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ორგანიზაციებში ინტეგრაციის გეგმებს სკეპტიკურად უყურებენ.

“მოქალაქეები განაგრძობენ ევროკავშირისა და ნატოსადმი ერთგულების დემონსტრირებას,” - განაცხადა თორნტონმა. “ამის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებელმა პირებმა, დემოგრაფიული და გეოგრაფიული თავისებურებების სტრატეგიულად გამოყენებით, სკეპტიკურად განწყობილ მოსახლეობასთან იმუშაონ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რუსული გზავნილების გაბათილებას და ასევე, გადაუწყვეტელ ამომრჩეველებს, რომლებიც მათი დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, მომავალ არჩევნებში გადამწყვეტ როლს ითამაშებენ.”

NDI იკვლევს საზოგადოებრივ აზრს, რათა დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს გაიგონ და გადაჭრან მოქალაქეებისთვის პრობლემატური საკითხები ზუსტ, მიუკერძოებელ და სტატისტიკურად სწორ მონაცემებზე დაყრდნობით. კვლევის მიზანია ხელი შეუწყოს ისეთი პოლიტიკისა და მმართველობის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე. კვლევის კითხვარი პარტიებთან, მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებთან კონსულტაციების შედეგად შემუშავდა. პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ კვლევებიდან მიღებული ინფორმაცია ეხმარება მათ საქმიანობას და გამოთქვამენ სურვილს,

კვლავაც გაგრძელდეს მსგავსი გამოკითხვები. გამოკითხვა 2016 წლის 8 ივნისიდან - 6 ივლისის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 4,113 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე, ქვეყნის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა. კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 2.1%.

NDI-ის კვლევებს აფინანსებს შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტო (Sida) და ატარებს CRRC-საქართველო.

-დასასრული-

NDI არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გააძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია: www.ndi.org

CRRC-საქართველო არის არასამთავრობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრი, რომელიც აგროვებს, ანალიზებს და აქვეყნებს მონაცემებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ. ორგანიზაციის მიზანია საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის განვითარების ხელშეწყობა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.crrc.ge